შპს  ტყე-მეტყევე
ს/კ 400228204 მის. თბილისი, გლდანის VIII მ/რ, კორპ. 27, ბინა 100, ელ. ფოსტა: aafciauri@yahoo.com
ტ. 577 119 750

№ 160 1 ოქტომბერი 2018 წ.

დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა
და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 28 სექტემბერს ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა, I კვარტალი №5ბ, ქუჩა მეგობრობა №44–ის მიმდებარედ მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.633) არსებულ ტერიტორიაზე დამკვეთის შპს „მონიო“–ს მომართვის საფუძველზე მეტყევე-მეცნიერის მიერ (ექსპერტი სატყეო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა იქ განლაგებული ხე-მცენარეები.

ხის დიამეტრი დადგინდა საზომი ბაფთით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით და „პი“-ზე გაყოფით.

ტერიტორიაზე განლაგებულია 12 ძირი 2 სახეობის მწვანე ნარგავი. მათგან არცერთი არ არის ხილ–კენკროვანი. დამკვეთი ამ მწვანე ნარგავებს გადარგავს.

გადარგვა მოხდება უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით დამკვეთის მიერ შერჩეულ ადგილზე. ვაზი ჯერ გაისხლება და შემდეგ ამოითხრება, ხოლო ყველა სხვა ხე–მცენარის გარშემო მიწა მოითხრება 50 – 70 სმ–ის რადიუსით, ორმოს სიღრმე იქნება იმ ზომის გათვალისწინებით, რომ ფესვთა სისტემა მიწის კომთან ერთად უნდა იყოს ხის სიმაღლის მესამედი, მიწა რომ არ დაიშალოს, უნდა ჩაიდოს ტომარაში და მოეკრას პირი. გადარგვა უნდა მოხდეს გათხრილ ორმოში იმ პირობით, რომ ორმოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს საკმარისი, რომ გადარგული ხის ფესვები თავისუფლად ჩაეტიოს ორმოში. გადარგვიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად უნდა მოირწყას ხეები, გაუფხვიერდეს მიწა ღეროს გარშემო, გაუკეთდეს ჯამი წყლის (წვიმის წყლისთვისაც) შესაკავებლად. გადარგული ხეების მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზე. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, ანუ ყოველ

მესამე დღეს დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე უნდა მოირწყას იმ ანგარიშით, რომ ყოველი ხის ნიადაგმა ცალ–ცალკე ერთი ვედროს (10 ლიტრი) ოდენობის წყალი შეიწოვოს.

ცხრილში მოცემულია ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა, I კვარტალი №5ბ, ქუჩა მეგობრობა №44–ის მიმდებარედ მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.633) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

№ რიგზე	მერქნიანი სახეობა	D_{10} დიამეტრი 10 სმ-ზე	შენიშვნა
1	ვაზი	2,2	ჯანსაღი
2	კვიპაროზი	18,9	–‘–
3	–‘–	28,4	–‘–
4	–‘–	24,5	–‘–
5	–‘–	15,5	–‘–
6	–‘–	38,5	–‘–
7	–‘–	18,4	–‘–
8	–‘–	18,9	–‘–
9	–‘–	13,8	–‘–
10	–‘–	25,5	–‘–
11	–‘–	10,9	–‘–
12	–‘–	25,8	–‘–

დირექტორი [redacted] წანა აფციაური

ალექსანდრე აფციაური

პროფესორი, სატყეო საქმის მეტყევე–მეცნიერი
ლიცენზირებული და სერთიფიცირებული ექსპერტი